ბრძანება:**ბ63. 6324291001**
თარიღი:**17/10/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, 2024 წლის 30 ოქტომბერს 11:00 საათზე.სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი პროექტები:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 914.00 კვ.მ. სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.63.094) სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

2. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ.) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–ს შორის 2023 წლის 17 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების

ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატრო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

4. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ

   მეფის ქ. №52^{ა}–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–სთვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატრო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

5. სხვადასხვა.

3.მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი